30

შეცვალე

— საქართველო —

საქართველოს გამდიდრების

სტრატეგიული გეგმა

2021-2024 წ.წ.

საქართველო უნდა იყოს მდიდრებით დასახლებული სახელმწიფო

- **დუბაის**, **მონაკოს** და **შვეიცარიის** ეკონომიკური განვითარების პროგრამების დანერგვა;
- **საქართველოში არსებული ყველა ოჯახი 2024 წელს იქნება მილიონერი (ლარებში)** - დუბაის მოდელის დანერგვიდან მიღებული ყოველწლიური დივიდენდი + ბიზნესის აქციების ღირებულება, ოჯახის ბოლო 3 წლის საერთო შემოსავალი + საერთო ქონების ღირებულების ჯამი და სხვა დამატებითი შემოსავალი;
- საპენსიო ფონდის რეფორმა: საპენსიო თანხების აკუმულირება თითო ადამიანზე **0,5-1 მლნ ლარამდე**.

30 შეცვალე — საქართველო —

სრული ეკონომიკური ამნისტია

- ხელისუფლებების არასწორი მმართველობის გამო სახელმწიფო და ხალხი წლებია ზარალდება, ამიტომ გამოცხადდება **სრული ეკონომიკური/საგადასახადო ამნისტია, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისთვის.**

30 შეცვალე საქართველო

საქართველოს მოსახლეობის სესხების სუბსიდირება

- თითოეულ ოჯახს სახელმწიფოს მიერ საბანკო და სალომბარდე **მოქმედი სესხების სუბსიდირება (დაფინანსება) 4 წლის განმავლობაში**, მანამდე სანამ სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკის რეალურ ზრდას, მშპ-რეალურ მატებას და ლარის კურსის 9 წლის წინანდელ ნიშნულზე დაყვანას.
- აღნიშნული ფულადი რესურსი გამოიყოფა კორუფციული სისტემის გასწორებით, ჩაწყობილი ტენდერების ჩათვლით, რომელიც **4 მილიარდამდე ლარს** შეადგენს წელიწადში.

30 შეცვალე — საქართველო —

სოფლის მეურნეობის სრულმასშტაბიანი აღორძინება

- **70%-მდე** სახნავ-სათესი მიწების ათვისება;
- **ბიოპროდუქციის წარმოება** და ამით მსოფლიო კონკურენციის გვერდის ავლა;
- სპეციალური დაფინანსების პროგრამა გლეხებისა და ფერმერებისთვის - **0%-იანი** კონტროლირებადი სესხი ტრანშებად;
- მიზანმიმართული ტრენინგები და სახელმწიფოს მხრიდან პარტნიორული ურთიერთობა ფერმერთან/გლეხთან, **სანამ ბიზნესი არ აეწყობათ** და შემოსავალზე არ გავლენ.

30 შეცვალე საქართველო

ყოველწლიურად 22 მლნ ტურისტის შემოყვანა

- საქართველოს საზღვარი გაიხსნება ყველა სახელმწიფოსთვის **გარდა წითელი ზონის ქვეყნებისა** - კოვიდ პანდემიის ეფექტური მართვა, რომელიც გულისხმობს საზღვარზე სწრაფი ტესტის ჩატარების შემდეგ 24 საათიან კარანტინს ე.წ. პისიარ ტესტის ჩასატარებლად, რომლის კომბინაციაც ფაქტიურად **100%ით გამორიცხავს კორონა ვირუსით დაინფიცირებული ტურისტის შემოსვლას**;
- საქართველო შევთავაზოთ, როგორც საუკეთესო მდებარეობის ქვეყანა საერთაშორისო **ღონისძიებების, შეხვედრების, გამოფენების** და **სხვა აქტივობებისთვის (MICE ტურიზმი)**;
- **მდიდარ ტურისტზე** გათვლილი დესტინაციების გამართვა- პოპულარიზაცია (სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, ეკო და სხვა).

30 შეცვალე — საქართველო —

წამლების ფასების შემცირება
30%-დან 80%-მდე

- მონოპოლისტების მიერ **ხელოვნურად გაზრდილი ფასების დარეგულირება** კანონში ცვლილების შეტანით;
- ტრამპის ადმინისტრაციისა და კანადის გამოცდილების გათვალისწინება - ე.წ. **ჯენერიკული წამლების** ჩანაცვლება.

30 შეცვალე საქართველო

კიბოს და სხვა ქრონიკული ავადმყოფობების მინიმუმამდე დაყვანა

- მკურნალობის **100%**-იანი დაფინანსება;
- პრევენციის მიზნით, წელიწადში 2 ჯერ **უფასო გამოკვლევები** ყველას.

30 შეცვალე საქართველო

სურსათის მკაცრი კონტროლი

- **გენმოდიფიცირებული** და სხვა ჯანმრთელობისათვის მავნე **ქიმიური შემცველობის** პროდუქციის აკრძალვა;
- **100 მეტრის რადიუსზე** სკოლების, საბავშვო ბაღების ტერიტორიაზე ე.წ. მავნე და დიდი რაოდენობით შაქრის შემცველი საკვების აკრძალვა.

30 შეცვალე საქართველო

სასამართლო სისტემის მსოფლიო სტანდარტებზე აყვანა

- **ბლოკჩეინ-ტექნოლოგიებით** მოსამართლის რანდომული შერჩევა;
- საერთაშორისო საარბიტრაჟო ბლოკჩეინ-სისტემის იმპლემენტაცია დავების **სწრაფი და გამჭვირვალე** გადაჭრისთვის;
- მოხდება ყველა მოსამართლის, მათ შორის უვადოდ დანიშნულების **დისციპლინური კანონმდებლობის გამკაცრება**, რაც გულისხმობს მოსამართლის დაჯარიმებას ან დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლებას, მისი თანამდებობის **ბოროტად გამოყენების** ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.

30 შეცვალე საქართველო

სახელმწიფო ტენდერებში კორუფციული სისტემის ჩამოშლა

- ყოველწლიურად **4 მილიარდამდე** თანხის გამოთავისუფლება;
- **ბლოკჩეინ ტექნოლოგიის**, **გონიერი კონტრაქტების** და **ხელოვნური ინტელექტის** დანერგვა შესყიდვების სისტემაში, რათა ამოვარდეს ადამიანური ფაქტორი ფინანსებთან ურთიერთობისას, რაც გამოიწვევს კორუფციის საბოლოო დამარცხებას;
- ტენდერების აკრძალვა პირდაპირი მიყიდვის წესით, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობის თანხმობით ხდება (**წელიწადში 800 მილიონამდე**) და მათი შეცვლა სტანდარტული გამარტივებული ელექტრონული ტენდერების სისტემით - ჯანსაღი კონკურენციით;
- **მონოპოლიების აღმოჩენა და ჩამოშლა**, სატენდერო წინადადების გათავისუფლება სპეციალურად შექმნილი ე.წ. ფილტრებისგან (ტენდერებიდან ითიშებიან კონკურენტი კომპანიები, გარდა წინასწარ შეთანხმებული კომპანიისა), რაც ჯანსაღ კონკურენციას უზრუნველყოფს;
- ყველა საერთაშორისო რეკომენდაციის, მათ შორის, **ვენეციის კონვენციის ჯგუფის** მითითებების გათვალისწინება საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობაში.

იუსტიციის სამინისტროს სრულად ბლოკჩეინზე გადაყვანა

- ყველა პერსონალური მონაცემის გადატანა მსოფლიოში ყველაზე დაცულ ტექნოლოგია **„ბლოკჩეინზე“**, ყოველი მოსახლის პერსონალური მონაცემების **მაქსიმალური დაცულობისთვის**.
- ამ ნაბიჯით **გამოირიცხება დოკუმენტების გაყალბება** და მათი გამოყენება, მათ შორის, არჩევნების დროს.

30 შეცვალე — საქართველო —

12

ამერიკული და ევროპული განათლების სისტემის კომბინირებული დანერგვა

- ყველა სასწავლო დაწესებულება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტს **არაუგვიანეს 2024 წლისა**;
- **სტენფორდის სისტემის** დანერგვა ქართულ უნივერსიტეტებში;
- **ფინური მოდელის** დანერგვა ქართულ ბაღებსა და დაწყებით კლასებში;
- უნივერსიტეტ დამთავრებული **არანაკლებ 95% სტუდენტების** დასაქმება დიპლომის აღებიდან **არაუგვიანეს 6 თვეში**

30 შეცვალე საქართველო

მსოფლიოში მეორე „სილიკონის ველის“ შექმნა

- საქართველო გახდება **მსოფლიოს ტექნოლოგიური ჰაბი**.
- მსოფლიოს პირველი პლატფორმა - **„ყველა სერვისი ერთ ელექტრონულ სივრცეში“** (პროგრამირება, ვებ დეველოპმენტი, იურისპრუდენცია, აუდიტორული მომსახურება და სხვა) - ათასობით ადამიანის ონლაინ დასაქმება მაღალანაზღაურებად დაკვეთებზე;
- მოხდება ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრების შექმნა და **1-2 წლიანი პროფესიული ტრენინგები** ყველაზე მოთხოვნადი ტექნოლოგიური მიმართულებით (პროგრამირება, კიბერუსაფრთხოება, ბლოკჩეინი და სხვა).

30 შეცვალე — საქართველო —

საქართველოში სპორტის მასშტაბური განვითარება

- სპორტის ყველა სახეობის სახელმწიფო მნიშვნელობის დონეზე აყვანა და ყველა **საერთაშორისო ტურნირისთვის** მომზადების შესაძლებლობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ჯანსაღი თაობებისთვის, რომელიც ავტომატურად **შეამცირებს მავნე ჩვევებს**;
- დაფინანსების მიღება საქართველოში არსებული კომპანიების შემოწირულობებით, რაც სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად ყოველწლიურად გადააჭარბებს **700 მლნ ლარს**.

7 რუსეთის ფედერაციასთან სრულყოფილი სახალხო დიპლომატიური ურთიერთობის აღდენა

- რაც უზრუნველყოფს საქართველოს **გრძელვადიან მშვიდობას**;
- საზღვრების გახსნას **აფხაზეთთან, ცხინვალის რეგიონთან** და **რუსეთთან**;
- **სავაჭრო ეკონომიკური** ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან;
- ხალხებს შორის კომუნიკაციის აღდგენისა და **დაახლოების პროცესის** დაწყებას.

30 შეცვალე საქართველო

ქალების სტატუსის ამაღლება პოლიტიკაში

- მეტი **ქალი** - მეტი **პასუხისმგებლობისთვის** და მეტი **შედეგებისთვის**.

30 შეცვალე საქართველო

ქართული ჯარის რეფორმა

- საყოველთაო გაწვევის არსებული ფორმის ცვლილება **6-თვიანი არასავალდებულო** საკონტრაქტო პირობებით, მათ შორის, ქალებისთვისაც.

შშმ პირების სოციუმში ჩართულობის მაქსიმალურად ხელშეწყობა

- მოხდება შშმ პირებზე **ადაპტირებული ადგილების გამრავლება**;
- ესპანური პრაქტიკის გათვალისწინება, სადაც კომპანია, რომელსაც 50-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს ვალდებულია შემადგენლობის **მინ. 2.5% შშმ პირი დაასაქმოს**, ხოლო 25-დან 50-მდე თანამშრომლის ყოლისას - შემადგენლობის **5%-ი**;
- პროექტების სწრაფი დანერგვისთვის წლიური დაფინანსების **გაზრდა 100%-ით**.

30 შეცვალე
— საქართველო —

1

იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების სრული დაკმაყოფილება

- მათი უზრუნველყოფა **ბინებით 2021-2024 წლებში**, ასევე არსებული მიწის ნაკვეთების და საცხოვრებელი ფართების დაკანონება 2021 წელს.

30 შეცვალე საქართველო

უმცირესობების
უფლებების დაცვა საზოგადოებაში

30 შეცვალე საქართველო

ნარკოტიკული საშუალებების სრული დეკრიმინალიზაცია

- ჩეხეთისა და პორტუგალიის გამოცდილების დანერგვა, სადაც **70%-ით შემცირდა** წამალდამოკიდებულთა რიცხვი (დეკრიმინალიზაცია არ ითვალისწინებს **რეალიზატორებისა და გამავრცელებლების დაუსჯელობას**);
- სახელმწიფოს მიერ **700 მილიონიანი ბიუჯეტით** საყოველთაო სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

30 შეცვალე — საქართველო —

2 გარემოს დაცვა

- საერთაშორისო სტანდარტების **ფილტრაციის სისტემების** ინსტალაცია ყველა ფაბრიკა-ქარხანაში;
- ქალაქების მაქსიმალური **გამწვანება** (რუსთავი, ქუთაისი და სხვა);
- **ეკოლოგიურად სუფთა** საზოგადოებრივი ტრანსპორტის ექსპლუატაცია.

30 შეცვალე საქართველო

მიუსაფარი ცხოველების მაქსიმალური დაცვა

- ყველა ქალაქის გარკვეულ წერტილებზე განთავსდეს **სპეციალური აპარატები**, რომლებშიც პოლიეთილენის ბოთლის ჩაგდების შემთხვევაში ჩამოიყრება ცხოველთა საკვები;
- დაფინანსების **გახუთმაგება** ცხოველთა არსებულ თავშესაფრებში;
- საზოგადოების წახალისება თავშესაფარში მყოფი ცხოველების სახლში **საცხოვრებლად აყვანის** თაობაზე.

30 შეცვალე — საქართველო —

30
შეცვალე
— საქართველო —
შეცვალე
— საქართველო —
სტრატეგიული გეგმა
2021-2024
საქართველო როგორიც შენ გინდა!
რეალური მესამე ძალა